შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«უნიკა ინჟინერინგი»

სარეგისტრაციო № 245 15.01.18წ. СРО НП «СОЮЗАТОМПРОЕКТ»

დამკვეთი - შპს «აპტოს»

გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსი, მდებარე ნაკვეთზე საკადასტრო ნომრით: 01.19.18.003.044.

საპროექტო დოკუმენტაცია

«ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძარსაწინააღმდეგო ბლოკირებების ავტომატიკის სისტემა. გამოცხადების და ევაკუაციის მართვის სისტემა. ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკა და ბლოკირებები»

ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსი

316-П-1-ПС

განზ.	დოკ. №	ხელმოწერა	თარიღი
001			11.11.18

2018

Взам. инв.

Подп. и дат

Инв. №

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«უნიკა ინჟინერინგი»

სარეგისტრაციო № 245 15.01.18წ. СРО НП «СОЮЗАТОМПРОЕКТ»

დამკვეთი - შპს «აპტოს»

გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსი, მდებარე ნაკვეთზე საკადასტრო ნომრით: 01.19.18.003.044.

საპროექტო დოკუმენტაცია

«ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძარსაწინააღმდეგო ბლოკირებების ავტომატიკის სისტემა. გამოცხადების და ევაკუაციის მართვის სისტემა. ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკა და ბლოკირებები»

ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსი

316-П-1-ПС

Взам.ин	
Подп.идат	
Инв.	

გენერალური დირექტორი ა. ვ. ბოკანენკო

პროექტის მთავარი ინჟინერი ს. ე. კონოვალოვა

2018

საავტორო კოლექტივის შემადგენლობა

თანამშრომლის თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
პროექტის მთავარი ინჟინერი	ს. ე. კონოვალოვა		01.10.18
ინჟინერ-დამპროექტებელი	დ. ა. შებლიაკოვი		01.10.18

ტომის შინაარსი

აღნიშნვა	დასახელება	შენიშვნა
316-П-1-ПС-С	ტომის შინაარსი	ფურცელი 1
316- П-1-ПС -АК	საავტორო კოლექტივის შემადგენლობა	ფურცელი 1
316-П-1-СП	საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა	ფურცელი 1
	ტექსტური ნაწილი	
316- П-1-ПС.ПЗ	განმარტებითი ბარათი	ფურცლები 1-
	გრაფიკული ნაწილი	
316- П-1-ПС	პირობითი აღნიშვნები	ფურცელი 1
316- П-1-ПС	სტრუქტურული სქემა	ფურცელი 2
	ტომის ფურცლების საერთო რაოდენობა	

შინაარსი

1. ზოგადი ცნობები
2. სისტემის აღწერა
3. პროექტში მიღებული ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტები
4. სისტემის ფუნქციონირება
5. საკაბელო და გამანაწილებელი ქსელი
6. ელ.კვება და დამიწება
7. СОУЭ აღჭურვილობის სამონტაჟო გადაწყვეტები
7.1 აკუსტიკური გათვლა
8. სისტემის ექსპლუატაცია
9. სისტემის ტექნიკური მომსახურება
10. უსაფრთხოების ზომების მითითებები
11. გარემოს დაცვა
12. დოკუმენტის ვერსიის ისტორია

1. ზოგადი ცნობები

პროექტი განყოფილებიდან „ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია“ (შემდგომში АПС), შემუშავებულია გაცემული არქიტექტურულ-სამშენებლო ნახაზების, ასევე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, კერძოდ:

22.07.2008წ. №123-ФЗ ფედერალური კანონი „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებზე“ 2018 წლის 31 ივლისის რედაქციით;

СП 3.13130.2009 „ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა. გამოცხადების და ხანძრის დროს ხალხის ევაკუაციის მართვის სისტემა“

„ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა. სახანძრო სიგნალიზაციის და ხანძარქრობის ავტომატური დანადგარები. პროექტირების ნორმები და წესები“ (ცვლილებებით№1);

СП 7.13130.2013 „გათბობა, ვენტილაცია და კონდიცირება. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები“;

СП 10.13130.2009 „ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები. შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობა. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები“ (ცვლილებებით№1);

РД 25.953-90 „ავტომატურიხანძარქრობის, სახანძრო, დავცითი და დაცვითი-სახანრო სიგნალიზაციის სისტემები. სისტემის ელემენტთა გრაფიკული პირობითი აღნიშვნები“;

ГОСТ Р 21.1101-2013 „საპროექტო დოკუმენტაციის სისტემა მშენებლობისთვის. საპროექტო და სამუშაო დოკუმენტაციების ძირითადი მოთხოვნები“;

ПУЭ „ელ. დანადგართა მოწყობის წესები“.

ზემოთ ხსენებული დოკუმენტების შესაბამისად ობიექტი აღიჭურვება სახანძრო სიგნალიზაციის ავტომატური სისტემით, რომელიც წარმოადგენს საინჟინრო-ტექნიკური სისტემების კომპლექსის შემადგენელ ნაწილს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისთვვის და მისი დანიშნულებაა: ხანძრის დროული აღმოჩენა, საინჟინრო და ხანძრის შეტყობინების სისტემათა სამართავი იმპულსის ფორმირება, შენობაში აალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება პერსონალის სადღეღამისო ცვლის სათავსოში.

პროექტში მიღებული ტექნიკური გადაწყვეტები შეესაბამებიან ეკოლოგიურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა მოთხოვნებს და ნორმებს, რომლებიც მოქმედებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და ობიექტის ექსპლუატაციისას უზრუნველყოფენ ხალხის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების გათვალისწინებით.

2. სისტემის აღწერა

სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მოსაწყობ ცენტრალურ მოწყობილობად მიღებულია კომპანია სიმენსის სერთიფიცირებული მოწყობილობა, სერიიდან - Cerberus PRO. ეს მოწყობილობა შეესაბამება რუსული და ევროპული სტანდარტების თანამედროვე მოთხოვნებს და ეკონომიკური ეფექტურობითაც საკმაოდ ოპტიმალურია. ცენტრალური მოწყობილობის პროგრამულ უზრუნველყოფას აქვს რუსულენოვანი ინტერფეისი და პროგრამირების მოსახერხებელი ალგორითმი.

Cerberus PRO არის მძლავრი მართვადი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა აალებების სწრაფი აღმოჩენის უნარით. იგი აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტთა ყველაზე მაღალ მოთხოვნებს, შეიცავს ყველაზე თანამედროვე ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით. საიმედოობის მაღალი დონე და დამკვეთის არსებულ სისტემებთან ოპტიმალური ადაპტაცია მიღწეულია ინტელექტუალური პერიფერიული მოწყობილობების საშუალებით, რომლებიც არეგისტრირებენ სიგნალებს, ადარებენ და აფასებენ მათ ჩადებული ნიმუშების საფუძველზე.

სისტემის ტექნიკური რეალიზაცია დაფუძნებულია მართვის სათაო პანელის FC726 გამოყენებაზე (შემდგომში - ПУ), რომელიც ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას სამისამართო მოწყობილობებიდან (რომლებიც მიერთებულია სიგნალიზაციის შლეიფზე), აანალიზებს მას და მოვლენის სახეობიდან გამომდინარე ამუშავებს პროგრამირებისას გაწერილ შესაბამის ალგორითმებს. ПУ-ს სამისამართო მოცულობის გასაზრდელად, გაფართოების ბუდეში ჩართულია ხაზოვანი პლატები FCL2001-A1, რომელთაგან თითოეულზე შესაძლოა ოთხამდე სამისამართო წრიული შლეიფის მიერთება. ასევე გაფართოების ბუდეში შეერთებულია თავისუფლად პროგრამირებადი შეყვანა/გამოყვანის პლატა FCI2008-A1. მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მმართველი ბრძანებების გაგზავნა იმ სისტემებში, რომელთა სამართავი მოწყობილობებიც იმყოფებიან ПУ-სთან უშუალო სიახლოვეში (მაგალითად, ხანძრის შესახებ სიტყვიერი გამოცხადების სისტემა და ა.შ.).

სისტემის მუშაობის ვიზუალიზებისთვის, ასევე სტრესულ სიტუაციებში ცვლის პერსონალის მხრიდან პანიკისა და შედეგად ოპერატორის მიერ სამსახურეობრივი ინსტრუქციების (რომლებშიც გაწერილია საგანგებო სიტუაციების წარმოქმნისას ქმედებების შესრულების თანმიმდევრობა) არაადექვატური შესრულების თავიდან ასარიდებლად, პროექტით გათვალისწინებულია ავტომატური სამუშაო ადგილის მოწყობა (შემდგომში АРМ). АРМ შედგება ელ. გამომთვლელი მანქანისგან, მასზე დაყენებული პროგრამული უზრუნველყოფით (შემდგომში - ПО) ММ8000.

ПО ММ8000 არის მართვისა და კონტროლის პროფესიონალური სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემათა ბაზაზე შეიქმნას ინტეგრირებული სისტემა. სისტემა ММ8000 ძირითადად განკუთვნილია სამსახურების პერსონალისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტის უსაფრთხოებას. იგი შემუშავებულია მომხმარებლის ობიექტის უსაფრთხოების ყველა სისტემასთან ერთიანი, მარტივად გამოყენებადი მიღწევადობის

უზრუნველსაყოფად. სისტემა MM8000 საშუალებას იძლევა ვაკონტროლოთ და ვმართოთ ნებისმიერი სივრცე და მოწყობილობა ერთი სამართავი სადგურიდან, უსაფრხოების ქსელის ზომის მიუხედავად, რომელიც შესაძლოა ვრცელდებოდეს ერთ სართულზე, ან შეიცავდეს რამდენიმე შენობას. სისტემა MM8000 საშუალებას იძლევა:

- გაგვიწიოს დახმარება მოვლენების დამუშავებისას;
- მომხმარებლის ობიექტზე გაგვიწიოს დახმარება უსაფრთხოების სისტემის კონტროლსა და მართვაში;
- შეესაბამებოდეს მომხმარებლის კონკრეტულ მოთხოვნებს;
- შეინახოს მოვლენების ისტორია;
- შეასრულოს ავტომატური ფუნქციები და გეგმიური ამოცანები;
- მხარი დაუჭიროს სიმენსის საკონტროლო პანელებთან (ქვესისტემებთან) რამდენიმე სისტემის მიერთებას;
- მხარი დაუჭიროს ხელმისაწვდომობის მართვის სისტემათა ინტეგრაციას;
- მხარი დაუჭიროს ვიდეოთვალთვალის სისტემათა ინტეგრაციას;
- OPC DA სტანდარტის მიხედვით მხარი დაუჭიროს ღია საარქიტექტორო სისტემას;
- მოვლენის შესახებ შეტყობინებები გააკეთოს SMS სისტემით, ელ. ფოსტით, ან ESPA-სთან თავსებადი პეიჯერით.
- უზრუნველყოს სიმშვიდის შენარჩუნება განსხვავებულ სიტუაციებში.

ПУ-სა და АРМ-ს გარდა ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემის შემადგენლობაში შედის:

1 - სამისამართო ოპტიკური საკვამლე მაუწყებლები OP720;

2 - სამისამართო ხელის სახანძრო მაუწყებლები FDM221:

3 - ხმოვანი მაუწყებლები Sonar SWS-110W;

4 - მაშუქი ტაბლო ОПОП-1-8 «გასასვლელი»;

5 - შეყვანის ერთ არხიანი მოდულები FDCI221;

6 - შეყვანის ოთხ არხიანი მოდულები FDCI222;

7 - შეყვანა/გამოყვანის ერთ არხიანი მოდულები FDCIO221;

8 - შეყვანა/გამოყვანის ოთხ არხიანი მოდულები FDCIO222;

9 - კვების რეზერვირებული წყაროები 24В;

10 - საკაბელო ტრასები.

1, 2, 5, 6, 7, 8 პოზიციების აღჭურვილობა უერთდება სიგნალიზაციის სამისამართო წრიულ ორგამტარიან შლეიფებს. აღნიშნული აღჭურვილობა დამატებით კვებას არ საჭიროებს. FDCI221 და FDCI222 მოდულები განკუთვნილია საინჟინრო და ტექნოლოგიურ მოწყობილობათა მდგომარეობის გასაკონტროლებლად, ისეთების, როგორიცაა: ცეცხლის შემაკავებელი სარქველები, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის სარქველები, ჩამკეტი

არმატურა ავტომატური ხანძარქრობის სისტემის, ან შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის და ა. შ. მოდულები FDCIO221 და FDCIO222, გარდა საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების მდგომარეობის კონტროლის ფუნქციისა ახორციელებენ ამ სისტემებში მმართველი ბრძანებების ფორმირებას. ყოველი სამისამართო მოწყობილობა შეიცავს მოკლე ჩართვის ჩაშენებულ იზოლატორს, ამიტომ წრიული სამისამართო შლეიფის ერთ ადგილას დაზიანების შემთხვევაში (წყვეტა, ან მოკლე ჩართვა) იგი სრულად ინარჩუნებს მუშაობის უნარს.

3.პროექტში მიღებული ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტები

სახანძრო სიგნალიზაციის ავტომატური დანადგარის დაცვას ექვემდებარება ობიექტის ყველა სათავსო, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა:

- სათავსოები სველი პროცესებით (საშხაპეები, სანიტარული კვანძები, გამაგრილებელი კამერები, სამრეცხაოს სათავსოები და ა. შ.);
- ვენტკამერები (სანიაღვრე, ასევე გამწოვი სათავსოები, რომლებიც არ ემსახურება საწარმოო სათავსოების А ან Б კატეგორიისა), წყალმომარაგების სატუმბები, ბოილერები და სხვა სათავსოები შენობის საინჟინრო აღჭურვილობისთვის, რომლებშიც არ არის განთავსებული საწვავი მასალები;
- კატეგორიები В4 და Д სახანძრო საშიშროების მიხედვით.

სათავსოთა (რომლებიც აღჭურვილნი არიან ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციით) მახასიათებლებიდან და მათი სახანძრო დატვირთვის სახეობიდან გამომდინარე, ასევე ხანძრის ადრეული ამოცნობის მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია სათავსოების დაცვა წერტილოვანი საკვამლე სახანძრო მაუწყებლებით ОР720. სივრცე შეკიდული ჭერების მიღმა, საწვავი საკაბელო მასის მოცულობთ 1,5-დან 7 ლიტრამდე საკაბელო ხაზის ერთ მეტრზე, ასევე დაცულია საკვამლე სახანძრო მაუწყებლებით ОР720. ჭერს მიღმა სივრცეში დაყენებულ მაუწყებელთა მდგომარეობის ინდიკაციისთვის გამოყენებულია გამოსატანი განგაშის ინდიკატორები FDAI91. ფართობი, რომელიც კონტროლდება ერთი სახანძრო მაუწყებლით, ასევე მაქსიმალური დაშორება მაუწყელებსა და კედლებს შორის და მაუწყებლებს შორის არ აჭარბებს სიდიდეებს, რომლებიც მოყვანილია СП 5.13130.2009-ში.

ხანძრის შესახებ სიგნალის გადასაცემად მისი ვიზუალური აღმოჩენის შემთხვევაში, გათვალისწინებულია ხელის სახანძრო მაუწყებლების FDM221 გამოყენება, რომლებიც განლაგებულია საევაკუაციო გზებზე, შენობიდან გასასვლელებზე და კიბის უჯრედებზე. ხელის სახანძრო მაუწყებლები დგება 1,5 მ. სიაღლეზე სუფთა იატაკის დონიდან და მანძილი მათ შორის არ აღემატება 50 მ-ს.

მართვის პანელი შეყვანა/გამოყვანის სამისამართო მოდულების მეშვეობით უზრუნველყოფს:

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის ჩასართავად (კვამლარიდება და ჰაერის დაწნევა), უზრუნველყოფს დანადგარის მდგომარეობის კონტროლს;

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სარქველების გასახსნელად, უზრუნველყოფს მათი მდგომარეობის კონტროლს სარქველების დამაბოლოებელი ამომრთველებიდან (მიღებული სიგნალი - „სარქველი გახსნილია“);

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას საერთო-გაცვლითი შემწოვი და გამწოვი ვენტილაციის სისტემათა გამოსართავად;

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას თბო ფარდების გამოსართავად;

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას სპლიტ-სისტემების გამოსართავად;
- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას ცეცხლის შემაკავებელი სარქველების ზონურ დახურვაზე, მათი მდგომარეობის კონტროლით დამაბოლოებელი ამომრთველი სარქველებიდან (მიღებული სიგნალი - „სარქველი დახურულია“);

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას ლიფტების კაბინების გადასაადგილებლად ჩასხდომის პირველ სართულზე;

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას ელექტრიფიცირებული ურდულის გახსნაზე (შემდგომში - ურდული), რომელიც დაყენებულია წყალაღრიცხვის კვანძის შემოვლით ხაზზე. იგი აკონტროლებს ჩამკეტი ორგანოს მდგომარეობას დამაბოლოებელი ამომრთველებიდან (იღებს სიგნალებს - „ურდული ღიაა“ და „ურდული დაკეტილია“);

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის ტუმბოების ჩასართავად;

- ВПВ და АПТ სისტემათა ჩამკეტი არმატურის მდგომარეობის კონტროლი (მიღებული სიგნალები - „ურდული ღიაა“ და „ურდული დაკეტილია“).

უშუალოდ ПУ-ზე დაყენებული შეყვანა/გამოყვანის პლატის მეშვეობით მართვის პანელი უზრუნველყოფს:

- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას კონტროლის და მართვის სისტემის მაკონტროლებლებისკენ საევაკუაციო გზებზე კარების განბლოკვის შესაძლებლობით;
- ხანძრის დროს მმართველი სიგნალების ფორმირებას შენობს დისპეჩერიზაციის სისტემაში ხანძრის გაჩენის თაობაზე.

ხანძრის დროს ბრძანება საინჟინრო სისტემების მართვაზე ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება:
- მინიმუმ 2 ავტომატური სამისამართო სახანძრო მაუწყებლის ამუშავებისას;
- სამისამართო ხელის სახანძრო მაუწყებლის ამუშავებისას.

ავტომატურ სახანძრო სიგნალიზაციის სამართავი პულტი და АРМ განთავსებულია სახანძრო პოსტის სათავსოში (სადისპეჩეროში) მორიგე სპერსონალის მუდმივი თანხლებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს СП 5.131302009 п.п. 13.14.13. მოთხოვნებს.

ცეცხლის შემაკავებელი და კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სარქველების სამართავად გამოიყენება შეყვანა/გამოყვანის სამისამართო მოდულები FDCIO222.

სარქველების მართვა ხდება ელ. კვების ძაბვის მიწოდებით, ან შეწყვეტით.

სისტემის როგორც ცალკეული ელემენტების, ასევე მთლიანობაში АПС სისტემის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გამოისახება ПУ დისპლეიზე და АРМ მონიტორზე.

ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემათა მართვის ალგორითმი ახორციელებს მათ დროულ ჩართვას ხანძრის სახიფათო ფაქტორების დადგომამდე ხალხის ევაკუაციის უზრუნველსაყოფად და მატერიალური დანაკარგების შესამცირებლად.

4.სისტემის ფუნქციონირება

სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის ყველა პერიფერიული მოწყობილობა იმყოფება მუდმივი დიაგნოსტიკის რეჟიმში და ნებისმიერი გადახრა ნორმიდან აისახება შესაბამისად АРМ მინიტორზე და ПУ დისპლეიზე ხმოვანი სიგნალის თანხლებით.

ავტომატური საკვამლე მაუწყებლის განთავსების ზონაში კვამლის გაჩენისას, ან სითბოს გაჩენისას ავტომატური სითბური მაუწყებლის ზონაში, შესაბამისი მაუწყებელი აანალიზებს მოწოდებულ ინფორმაციას და ადარებს მას მასში ჩადებულ ალგორითმებს. გამოავლენს რა დაცულ სათავსოში ხანძრის გაჩენას, იგი გადაცემს ინფორმაციას ამის შესახებ მართვის პულტს. ПУ სიგნალის ტიპის მიხედვით (სიგნალი „ხანძარი“ ერთი ავტომატური მაუწყებლიდან, სიგნალი „ხანძარი“ ერთი ლოგიკური ტიპის ორი ავტომატური მაუწყებლიდან, სიგნალი „ხანძარი“ ორი სხვადასხვა ლოგიკური ჯგუფის ავტომატური მაუწყებლიდან, ხელის სამისამართო მაუწყებლის ამუშავება) ამუშავებს პროგრამირებისას გაწერილ დავალებულ ალგორითმს. ამასთან ყველა მოვლენა გამოისახება АРМ მონიტორზე და ოპერატორთან მიდის მინიშნებები გარკვეულ ქმედებათა შესრულების აუცილებლობაზე. АРМ მონიტორზე ინფორმაციის გამოტანის გარდა ПУ დისპლეიზე ასევე გამოისახება ამოქმედებული მაუწყებლის მისამართი და ტექსტური დესკრიპტორი, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპონენტის შესახებ (მაგალითად მისი ადგილმდებარეობის შესახებ). დესკრიპტორების მიბმა ხდება სადგურის პროგრამირებისას პროექტისა და ობიექტის სტრუქტურის შესაბამისად.

АПС სისტემის მიერ მოვლენა „ხანძარი“-ს რეგისტრაციის შემთხვევაში ПУ ავტომატურ რეჟიმში, შეყვანა/გამოყვანის მოდულთა და პლატის მეშვეობით ახორციელებს:

-საერთო მიმოცვლითი ვენტილაციას;
- ცეცხლის შემაკავებელი სარქველების დაკეტვას;
- კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის ჩართვას;
-კვამლმოცილების ზონურ გახსნას;

- ხანძრის შესახებ ხმოვანი მაუწყებლობის ჩართვას;
- საევაკუაციო გზებზე კარების განბლოკვას;
- ლიფტის კაბინების გადაადგილებას პირველ ჩასასხდომ სართულზე;
- სპლიტ-სისტემების გამორთვას.

ВПВ სისტემის ტუმბოების დისტანციური გაშვების ღილაკის აქტივაციისას, საპროექტო სისტემა ახდენს წყალაღრიცხვის კვანძის ასაქცევ ხაზზე მოწყობილი ურდულის გაღებაზე მმართველი სიგნალისა და ВПВ სისტემის ტუმბოთა გაშვები სიგნალის ფორმირებას.

კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემათა გაშვება გათვალისწინებუბლია გამწოვი ვენტილაციის გაშვების წინსწრებით შემწოვი ვენტილაციის გაშვებაზე.

შეყვანის და შეყვანა/გამოყვანის მოდულთა საშუალებით სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა ხანძრისას ღებულობს შემდეგ სიგნალებს:

- კვამლსაწინააღმდეგო სარქველებიდან მათი გახსნის შესახებ;
-ცეცხლის შემაკავებელი სარქველებიდან მათი დახურვის შესახებ;
- АУПТ და ВПВ სისტემის ჩამკეტი არმატურიდან (სიგნალი „ღიაა“ და „დახურულია“).

შეყვანის მოდულები აკონტროლებენ სარეზერვო კვების წყაროებს (შემდგომ ტექსტში - РИП), და РИП-ის ავარიულ რეჟიმში გადასვლის შემთხვევაში გადაცემენ ПУ-ზე შემდეგ შეტყობინებებს: ქსელის კვების ავარია, გამოსასვლელი ძაბვის ავარია და АКБ-ს ავარია.

ხელით მართვის რეჟიმში დისპეჩერს საშუალება აქვს:

- ხანძრის შემაკავებელი სარქველების გაღება / დახურვის მართვის;
- კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სარქველთა გაღება / დახურვის მართვის;
- სიგნალის ფორმირების საერთო მიმოცვლითი ვენტილაციის გამორთვაზე;
- სიგნალის ფორმირების კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის ჩართვაზე;
- სიგნალის ფორმირების ლიფტების კაბინათა პირველ ჩასხდომის სართულზე გადასაადგილებლად;
- საევაკუაციო გზებზე კარების განბლოკვის სიგნალის ფორმირების;
- სიგნალის ფორმირების ВПВ სისტემის ტუმბოთა გაშვებისა და წყალაღრიცხვის კვანძის ასაქცევ ხაზზე მოწყობილი ურდულის გასაღებად.

5. საკაბელო და გამანაწილებელი ქსელი

საკაბელო ხაზების გაყვანა უნდა განხორციელდეს შემდეგი დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით:

ВСН-600-81 – კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის და სატელევიზიო ნაგებობების და მოწყობილობების მონტაჟის ინსტრუქციები;

СниП 3.05.06-85 – ელ. ტექნიკური მოწყობილობები;

ПУЭ - ელ. დანადგართა მოწყობის წესები.

სამისამართო სიგნალიზაციის შლეიფები, საკონტროლო და მართვის ხაზები (ქვემოთ აღნიშნულთა გარდა) შესრულებულია КПСнг(А)-FRLS 1х2х0.75 მარკის ცეცხლგამძლე კაბელებით.

კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაცის სარქველთა კვების ხაზი FDCIO222 მოდულიდან მმართველ სარქველამდე სრულდება ცეცხლგამძლე კაბელით КПСЭнг(А)-FRLS 4х0,75.

ცეცხლის შემაკავებელ სარქველთა ელ. კვების ხაზი გამანაწილებელი კოლოფიდან FDCIO222 მოდულამდე შესრულებულია ცეცხლგამძლე კაბელით ВВГнг-FRLS 3x1,5.

FDCIO223 ტრანსპონდერების დაბალვოლტიანი კვების ხაზი შესრულებულია ცეცხლგამძლე კაბელით ВВГнг-FRLS 3x1,5.

კავშირგაბმულობის ხაზი ПУ და АРМ შესრულებულია ქსელური კაბელით UTP Cat.6.

ყველა საკაბელო ხაზი დაცვის შენობის საზღვრებს გარეთ გაყვანილია გოფრირებულ ПВХ მილებში დიამეტრით 16-დან 20 მმ-მდე. მილის ტიპის/ზომის არჩევა განისაზღვრება იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მილის კაბელებით შევსების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს. დაცვის სათავსოში საკაბელო ხაზები ჩალაგებულია ელექტროტექნიკურ კოლოფში ПВХ 100x50 მმ. ის საკაბელო ხაზები, რომლებიც კვეთენ გადახურვას გაიყვანება ლითონის მილებში.

ძალური ელ. მომარაგების მიყვანას РИП-ამდე უზრუნველყოფს დამკვეთი.

სახანძრო სიგნალიზაციის შლეიფები გაყვანილია СП 5.3130.2009 и ПУЭ-ს თანახმად:

- პარალელურად გაღებული შუასადების დროს დაშორება სახანძრო სიგნალიზაციის შლეიფების გაყვანილობებიდან, კაბელებიდან და შემაერთებელი ხაზებიდან - ძალურ და განათების გაყვანილობასთან, უნდა იყოს არაუმცირეს 0.5 მერისა.
- დაშვებულია დაშორების შემცირება 0.25 მეტრამდე სახანძრო სიგნალიზაციის შლეიფთა კაბელებიდან, დაუცველი დამაკავშირებელი ხაზებიდან, დაყვანიდან - ერთეულ განათების გაყვანილობებამდე და კაბელებამდე.

ყველა ელ.შეერთება შესრულებულია ან რჩილვით, ან კლემური ხუნდების გამოყენებით.

6. ელ.კვება და დამიწება

СП 5.3130.2009-ს თანახმად ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის დანადგარები ელ. მომარაგების საიმედოობის უზრუნველყოფის ნაწილში შედის პირველი კატეგორიის ელ. მიმღებებში. ПУ-ს სარეზერვო კვების წყაროდ გათვალისწინებულია აკუმულატორული ბატარეები (შემდგომში - АКБ), როლებიც დგება მართვის პულტის კორპუსში. ძირითადი კვების 220 ვ. არყოფნის შემთვევაში, ისინი უზრუნველყოფენ სისტემის ქმედითუნარიანობას მორიგე რეჟიმში 24 საათის, ხოლო განგაშის რეჟიმში 1 საათის განმავლობაში.

FDCIO223 ტრანსპონდერების დაბალვოლტაჟიანი ელ. კვების წყაროდ გათვალისწინებულია უწყვეტი კვების წყაროები (შემდგომში - ИП) 220В/24В, 4,5 ამპერი/საათში აკუმულატორით კორპუსში. ПУ და ИП-სთან ძალური ელ. კვების მიყვანა სრულდება დამკვეთის ძალებით.

ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესრულებულია ყველა არსებული ლითონის კორპუსის დამიწება. ამასთან დამიწების კვანძის წინაღობა არ აღემატება 0,6 ომს.

დამიწების დამცავი გამტარების შეერთება შესრულებულია ჭანჭიკური შეერთებით.

7.გადაწყვეტები СОУЭ-ს აღჭურვილობის მონტაჟზე

კედლის სიტყვიერი მაუწყებლები პროექტის მიხედვით უნდა დადგეს მინიმუმ 2,3 მეტრის სიმაღლეზე და მინიმუმ 150 მმ. ჭერამდე.

მანათობელი მაუწყებლები პროექტის მიხედვით უნდა დადგეს საევაკუაციო გასასვლელებზე 1,5 - 2,5 მ. სიმაღლეზე და ჭერიდან დაშორებული უნდა იყოს მინიმუმ 0,1 მეტრით.

7.1.აკუსტიკური გათვლა

ხმის ზეგავლენის დონის დადაბლება მაუწყებლამდე მანძილის მიხედვით გამოითვლება ფორმულით:

$LLLL2=LLLL1-20\cdot\lg(rr2rr1)$

где: LLLL — ხმის დონე; rr — მანძილი მაუწყებლამდე

სათავსოს ტიპი СНиП 23-03-2003-ს მიხედვით	ხმის დასაშვები დონე დეციბელებში	СОУЭ-ს ხმის დასაშვები დონე დეციბელებში	მაუწყებლის ხმოვანი წნევა დეციბელებში	მონტაჟის სიმაღლე მეტრებში	მაუწყებლის მოქმედების რადიუსი მეტრებში
საწარმოო მეურნეობების ადმინისტრაციულ სამმართველო პერსონალის სამუშაო სათავსოები, ლაბორატორიები, სათავსოები აზომვითი და ანალიტიკური სამუშაოებისთვის	60	75	107	2,3	39,7
საწარმოო მეურნეობების სათავსოები მუდმივი სამუშაო ადგილებით, საწარმოთა ტერიტორიები მუდმივი სამუშაო ადგილებით (გარდა იმ	80	95	107	3	3,6

სამუშაოებისა, რომლებიც ჩამოთვლილია 1-3 პოზიციებში).					

8.სისტემის ექსპლუატაცია

ელ. კომუნიკაციათა სისტემის მონტაჟის და ჩართვის პროცესში გათვალისწინებულია აუცილებელი დამცავი ღონისძიებების გატარება მოქმედი „მომხმარებელთა ელ. დანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით და მომხმარებელთა ელ. დანადგარების ექსპლუატაციის უსაფრთხოებს ტექნიკის წესების“ შესაბამისად.

სისტემის ექსპლუატაცია ხორციელდება დამკვეთის პერსონალით, რომელმაც შეისწავლა სისტემის ტექნიკური და საექსპლუატაციო დოკუმენტაცია და მისი ცალკეული დოკუმენტები სრულად.

დათვალიერება, წმენდა, რემონტი, რეგულირება და ელ. აღჭურვილობის შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ სამონტაჟო ორგანიზაციის სპეციალისტთა მიერ სისტემების მუდმივი დენის ქსელიდან გამორთვის შემდეგ.

9.სისტემის ტექნიკური მომსახურება

ტექნიკური მომსახურების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს იმ ღონისძიებების შესრულება, რომლებიც მიმართულია ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მუშა მდგომარეობის მხარდასაჭერად.

ტექ. მომსახურების და რემონტის სტრუქტურა შეიცავს შემდეგი სახის სამუშაოებს:

- ტექ. მომსახურება;
- გეგმიური მიმდინარე რემონტი;
- გეგმიური კაპიტალური რემონტი;
- არაგეგმიური რემონტი.

ტექ. მომსახურებას განეკუთვნება დანადგარის გეგმიურ სამუშაოზე დაკვირვება, აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა, რეგულირება, გამართვა, გამოცდა და შემოწმება.

მიმდინარე რემონტში შედის ნაწილობრივი დაშლა, გაყვანილობის და საკაბელო ნაგებობების ჩეცვლა, ან რემონტი. ხორციელდება აღჭურვილობის აზომვა, გამოცდა და აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა.

კაპიტალურ რემონტში, გარდა სამუშაოებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მიმდინარე რემონტით, შედის დანადგარის გაცვეთილი ელემენტების შეცვლა და მისი საექსპლუატაციო შესაძლებლობების გაუმჯობესება.

არაგეგმიური რემონტი სრულდება მიმდინარე, ან კაპიტალური რემონტის მოცულობით ხანძრის, ან ავარიის შემდეგ (ან მათ ასარიდებლად), რომლებიც გამოიწვია აღჭურვილობის არადამაკმაყოფილებელმა ექსპლუატაციამ.

ТО-ზე სამუშაოების ჩატარების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ „სახანძრო სიგნალიზაციის და ავტომატური ხანძარქრობის ფხვნილოვანი დანადგარის ტექნიკური მომსახურების საექსპლუატაციო ინსტრუქციებით“ და „ხანძარქრობის, სახანძრო და დაცვითი-სახანძრო სიგნალიზაციის დანადგართა რეგლამენტური ტექნიკური მომსახურების საორგანიზაციო და სამუშაოთა ჩატარების ინსტრუქციებით“, СП 5.131.30.2009, РД 78.145-93 и РД 25.964-90.

10.მითითებები უსაფრთხოების ზომებზე

კაბელების გაყვანის სამშენებლო-სამონტაჟო და აღჭურვილობის მონტაჟის სამუშაოები უნდა სრულდებოდეს შრომის უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებათა გათვალისწინებით.

სამონტაჟო, გამართვისა და ექსპლუატაციაში ჩაბარების სამუშაოები უნდა იწარმოოს РД 78.145-93-ს შესაბამისად.

აღჭურვილობის დამიწება (განულება) აუცილებლად უნდა შესრულდეს „ელ. დანადგართა მოწყობის წესების“ დაცვით (ПУЭ); СНиП 3.05.06-8, „ელ. ტექნიკური მოწყობილობების“ მიხედით; ГОСТ 12.1.030-87-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით და იმ ქარხნების ტექნიკური დოკუმენტაციის გათვალისწინებით, რომლებიც აწარმოებენ მაკომპლექტებელ ნაკეთობებს.

სისტემათა აღჭურვილობის მონტაჟის და გამართვისას უნდა დავიცვათ მოპყრობის წესები და უსაფრთხოების ზომები, რომლებიც მითითებულია საექსპლუატაციო დოკუმენტაციაში, იმ ნაკეთობათა მონტაჟის ინსტრუქციებში, რომლებიც შედიან სისტემის შემადგენლობაში და ასევე მომხმარებელთა ელ. დანადგარების ПУЭ, ПТЭ და ПТБ-ში.

აღჭურვილობა, რომელიც ექვემდებარება დამიწებას, შეერთებული უნდა იყოს დამამიწებელ მოწყობილობებთან.

ყველა გადახვევა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციიდან, რომელიც ხდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების პროცესში, აუცილებლად უნდა შეთანხმდეს საპროექტო ორგანიზაციასთან.

დანადგარის საექსპლუატაციოდ დაიშვებიან პირები, რომლებმაც გაიარეს ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.

სამონტაჟო სამუშაოები ელ. ქსელებში და მოწყობილობებში (ან მათ სიახლოვეს), ასევე გაყვანილობის შეერთება/გამორთვის სამუშაოები უნდა ჩატარდეს ძაბვის გათიშვის შემდეგ.

მუშაობისას უნდა გამოვიყენოთ დამცავი სათვალეები, რესპირატორები და ანტიფონები. აკრძალულია მისაყუდებელი კიბიდან მუშაობა. სამუშაოს დასრულებისას აუცილებელია ყველა ელ. ინსტრუმენტის გამორთვა დენიდან.

ყველა სამუშაო, რომელიც ტარდება სიმაღლეზე, უნდა შესრულდეს არაუმეტეს 2 ადამიანის შემადგენლობით, რომლებიც ურუნველყოფილი იქნებიან დამზღვევი აღჭურვილობით.

სარემონტო სამუშაოებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა გამოვიყენოთ გადასატანი მაშუქები ძაბვით არაუმეტეს 12 ვოლტისა.

მოწევა დაშვებულია მკაცრად განსაზღვრულ, სპეციალურად მოწყობილ ადგილას; სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია სამუშაო ადგილების ნაგვისგან და მტვრისგან დროული გაწმენდა.

ელ. მემონტაჟეები, რომლებიც ემსახურებიან ელ. დანადგარებს აღჭურვილი უნდა იყვნენ დამცავი საშუალებებით, რომელთაც გაიარეს შესაბამისი ლაბორატორიული შემოწმებები.

ყველა ელ. სამონტაჟო სამუშაო, დანადგართა მომსახურება, დამცავი საშუალებების მეთოდები და პერიოდულობა უნდა შესრულდეს „მომხმარებელთა ელ.დანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების“ და „მომხმარებელთა ელ.დანადგარების ექსპლუატაციის უსაფრთხოების ტექნიკის წესების“ დაცვით.

11.გარემოს დაცვა

მოცემული პროექტის რეალიზაციის პროცესში და შემდგომი ექსპლუატაციის დროს გაზისებრი, თხევადი და მყარი მავნე ნარჩენები არ წარმოიქმნება.

სამშენებლო-სამონტაჟო მასალების ნარჩენები ექვემდებარება შეგროვებას და ნაგვის შემკრებში გაგზავნას, სამშენებლო მოედანზე მოქმედი წესების თანახმად. გარემოს დაცვის დამატებითი ღონისძიებები საჭირო არ არის.

Условные обозначения

ARK – панель управления пожарная "FC724";

ВТН – извещатель дымовой оптический "OP720";

ВТМ – извещатель ручной "FDM221";

МС 1i – модуль входа одноканальный "FDCI221";

МС 4i – модуль входа четырехканальный "FDCI222";

MCD 1i.1o – модуль входа/выхода одноканальный "FDCIO221";

MCD 4i.4o – модуль входа/выхода четырехканальный "FDCIO222";

МС – модуль входа/выхода "FDCIO223";

BIAS – звуковой оповещатель Sonar SWS-110W

GB AC/DC – резервированный источник питания 24В;

ШУЛ – шкаф управления лифтами;

ШПД – шкаф управления вентилятором подпора воздуха;

ШДУ – шкаф управления вентилятором дымоудаления;

ШУВ – шкаф управления системой общеобменной вентиляции;

ШЭЗ – шкаф управления электрифицированными задвижками;

ШСС – шкаф управления сплит-системами;

SNR1 S – стойка речевого оповещения Sonar;

– клапан дымоудаления/подпора воздуха;

– огнезадерживающий клапан;

– задвижка с контролем положения системы АПТ/ВПВ;

– сигнализатор потока жидкости в системе АПТ;

PS – сигнализатор давления, установленный на спринклерном клапане;

– коробка распаечная с клеммниками;

– подвод силового электропитания ~220В (обеспечивает Заказчик);

– кабель сигнализации КПСнг(А)-FRLS 1х2х0,75;

– кабель речевого оповещения КПСнг(А)-FRLS 1х2х1,5;

– кабель светового оповещения КПСнг(А)-FRLS 1х2х0,75;

– кабель питания ВВГнг-FRLS 3х1,5;

– кабель управления/питания КПСнг(А)-FRLS 4х0,75;

– кабель питания

AXXXB.C – условное обозначение адресного устройства;

- номер адресного устройства;

- номер адресного шлейфа;

- буквенное обозначение типа адресного устройства

- номер панели

Согласовано

Взам. инв. №

Подпись и дата

Инв. № подл.

001	Новый документ	14.11.18
Версия	Комментарии	Дата

Изм.	Лист	Кол.	N док.	Подпись	Дата
Разработал		Щебляков			14.11.18
Проверил					
Рук.группы		Пономарёв			14.11.18
Н. контр.		Гамаюнов			14.11.18
ГИП		Коновалова			14.11.18

316-П-1-ПС

Комплекс по производству рассасывающихся и не рассасывающихся медицинских изделий, располагающихся на участке с кадастровым номером 01.19.18.003.044

Административно-производственный корпус	Стадия	Лист	Листов
	П	1	2

Условные обозначения

UNICA ENGINEERING

формат А3

Структурная схема пожарной сигнализации



							316-П-1-ПС
							Комплекс по производству рассасывающихся и не рассасывающихся медицинских изделий, располагающихся на участке с кадастровым номером 01.19.18.003.044
Изм.	Лист	Кол.	N док.	Подпись	Дата		
Разработал		Щебляков			14.11.18	Административно-производственный корпус	Стадия: П; Лист: 2; Листов:
Проверил							
Рук.группы		Пономарёв			14.11.18		
Н. контр.		Гамаюнов			14.11.18	Структурная схема	UNICA ENGINEERING
ГИП		Коновалова			14.11.18		

001	Новый документ	14.11.18
Версия	Комментарии	Дата

Согласовано

Взам. инв. №

Подпись и дата

Инв. № подл.

формат А1

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«უნიკა ინჟინერინგი»

სარეგისტრაციო № 245 15.01.18წ. СРО НП «СОЮЗАТОМПРОЕКТ»

დამკვეთი - შპს «აპტოს»

გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსი, მდებარე ნაკვეთზე საკადასტრო ნომრით: 01.19.18.003.044.

საპროექტო დოკუმენტაცია

«გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობა»

316-П-НПВ

განზ.	დოკ. №	ხელმოწერა	თარიღი
001			13.11.18

2018

Взам. инв.

Подп. и дат

Инв. №

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«უნიკა ინჟინერინგი»

სარეგისტრაციო № 245 15.01.18წ. СРО НП «СОЮЗАТОМПРОЕКТ»

დამკვეთი - შპს «აპტოს»

გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსი, მდებარე ნაკვეთზე საკადასტრო ნომრით: 01.19.18.003.044.

საპროექტო დოკუმენტაცია

«გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობა»

316-П-НПВ

Взам.ин	
Подп.и дат	
Инв.	

გენერალური დირექტორი	ა. ვ. ბოკანენკო
პროექტის მთავარი ინჟინერი	ს. ე. კონოვალოვა

2018

ტომის შინაარსი

აღნიშნვა	დასახელება	შენიშვნა
316-П-НПВ-С	ტომის შინაარსი	ფურცელი 1
316-П-НПВ-АК	საავტორო კოლექტივის შემადგენლობა	ფურცელი 1
316-П-1-СП	საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა	ფურცელი 1
	ტექსტური ნაწილი	
316-П-1-ДУ.ПЗ	განმარტებითი ბარათი	ფურცლები 1-
	გრაფიკული ნაწილი	
316-П-НПВ	წყალმომარაგების ქსელების სქემა მ 1: 500	ფურცელი 1

საავტორო კოლექტივის შემადგენლობა

თანამშრომლის თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
პროექტის მთავარი ინჟინერი	ს. ე. კონოვალოვა		13.11.18
ინჟინერ-დამპროექტებელი	ე. ა. ვოლობუევი		13.11.18

1. განმარტებითი ბარათის შინაარსი

1. განმარტებითი ბარათის შინაარსი
2. დასაცავი ობიექტის დახასიათება
3. ცნობები წყალმომარაგების არსებული და პროექტირებადი წყაროების შესახებ
4. წყალმომარაგების სისტემის და მისი პარამეტრების აღწერა და მახასიათებლები
5. ცნობები სახანძრო საჭიროებებისთვის საჭირო წყლის საანგარიშო ხარჯის შესახებ
6. ცნობები ფაქტიურ და მოთხოვნად წნევაზე წყალმომარაგების ქსელში, საპროექტო გადაწყვეტილებებზე და საინჟინრო აღჭურვილობაზე, რომელიც უზრუნველყოფს წყლის საჭირო წნევას
7. ცნობები წყალმომარაგების სისტემათა მილების მასალებზე და მათი დაცვის ზომებზე გრუნტებისა და გრუნტის წყლების აგრესიული ზეგავლენისგან
8. ცნობები წყლის ხარისხის შესახებ
9. ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ხარისხის დადგენილ მაჩვენებელს სხადასხვა მომხმარებლებისთვის
10. ღონისძიებათა ჩამონათვალი წყლის რეზერვირებაზე
11. ღონისძიებათა ჩამონათვალი წყლის მოხმარების აღრიცხვაზე
12. წყალმომარაგების ავტომატიზაციის სისტემის აღწერა
13. ღონისძიებათა ჩამონათვალი წყლის რაციონალურ გამოყენებასა და ეკონომიაზე
14. ცხელი წყალმომარაგების სისტემის აღწერა
15. ცხელი წყლის საანგარიშო ხარჯი
16. წყალმომარაგების სისტემის და მისი იმ ღონისძიებების აღწერა, რომლებიც უზრუნველყოფენ გამთბარი წყლის სითბოს ხელმეორედ გამოყენებას
17. დოკუმენტის ვერსიის ისტორია

2. დასაცავი ობიექტის დახასიათება

საპროექტო ობიექტი განთავსებულია მიწის ნაკვეთზე, მისამართით: საქართველო, ქ.თბილისი, ნაკვეთის საკადასტრო ნომერი 01.19.18.003.044.

საპროექტო შენობა არის ორსართულიანი, სარდაფის გარეშე, გეგმაში სწორკუთხა ფორმის, ზომებით ღერძებში 67,0x36,6 მ. შემავალი ჯგუფი წარმოდგენილია მრავალსვეტიანი სივრცის სახით (ატრიუმი), ზომებით გეგმაში 27,0x9,6 მ. ძირითადი მოცულობის ზედა ნიშნული საპროექტო ნულიდან ტოლია +10,80 მ-ისა, შენობის მაქსიმალური ნიშნული (კიბის უჯრედის პარაპეტის) +13,20 მ. პირველი სართულის სიმაღლე 5,4 (იატაკიდან იატაკამდე), მეორე სართულის სიმაღლე 3,65 მ. (გადახურვის ფილის ქვედა ნაწილამდე). სახურავი - ბრტყელი, ექსპლუატირებადი. ტიხრები დაპროექტებულია ГКЛ-გან მეტალის კარკასზე С 112 ტიპის მიხედვით, სერიით 1.031.9-2.07 „კნაუფის კომპლექტური სისტემები“), სუფთა სათავსოების ტიხრები - პანელები სუფთა სათავსოებისთვის (Block).

შენობა წარმოადგენს ერთ სახანძრო განყოფილებას. პირველ სართულზე განთავსებულია საწარმოო სათავსოები, საკვები ბლოკი სასადილო დარბაზით, ტექნიკური სათავსოები, პროდუქციის საწყობი და საყოფაცხოვრებო სათავსოები მომუშავეთათვის და სტუმრებისთვის.

პირობით 0,000 ნიშნულად მიღებულია საპროექტო კომპლექსის პირველი სართულის სუფთა იატაკის ნიშნული, რომელის შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 508,00 ბალტიის სიმაღლეთა სისტემის მიხედვით.

შენობის სახანძრო-ტექნიკური კლასიფიკაცია:

საპროექტო შენობა მიეკუთვნება ცეცხლგამძლეობის II ხარისხს.

ფუნქციონალური სახანძრო საშიშროების კლასი:

- საწარმოო სათავსოებისთვის Ф 5.1;
- ადმინისტრაციული სათავსოებისთვის Ф 4.3;
- საყოფაცხოვრებო სათავსოებისთვის Ф 3.6.

შენობის კონსტრუქციული სახანძრო საფრთხის კლასი - С0.

სახანძრო საფრთხის კატეგორია - В.

ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

- სამშენებლო მოცულობა 0,000 ნიშნულის ზევით - 19353,78 м^3
- საერთო ფართობი - 4057,13 м^2
  მათ შორის ექსპლუატირებადი გადახურვა - 221,87 м^2
- სასარგებლო ფართობი - 3007,59 м^2
- გათვლითი ფართობი - 2337,64 м^2

3. ცნობები წყალმომარაგების არსებული და საპროექტო წყაროების შესახებ.

მოცემულ განყოფილებაში განიხილება გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მილგაყვანილობა.
გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროდ გვევლინება საპროექტო მილგაყვანილობა, შიდა სამოედნო წყალმომარაგების ქსელები ПЭ SDR 13.6 Ø110.

4. წყალმომარაგების სისტემის და მისი პარამეტრების აღწერა და მახასიათებლები.

საპროექტო ტერიტორიის წყალმომარაგება გათვალისწინებულია გარე სამოედნო ქსელიდან. საპროექტო გარე სამოედნო ქსელები პროექტირების საზღვრებს გარეთ ნაჩვენებია პირობითად და განიხილება გარე ქსელების ცალკეულ პროექტში.
მიერთება გათვალისწინებულია КВ1-1 ჭაში.
შენობაში შესასვლელებზე, საპროექტო შიდა სამოედნო წყალგაყვანილობის წრიულ ქსელში მიერთების ადგილებში გათვალისწინებულია ჭების მშენებლობა ანაკრები რკინაბეტონის ელემენტებით. КВ1-1 ჭაში გათვალისწინებულია გამომრთველი არმატურის და აღრიცხვის კვანძის მოწყობა, ხოლო В1-3 და В1-6 ჭებში დამატებითი სახანძრო ჰიდრანტებისა. В1-1, В1-2, В1-4 და В1-5 ჭებში გათვალისწინებულია გამომრთველი არმატურის დაყენება.
საპროექტო ქსელები გაიყვანება დახრით 0,007÷0,004. ჩაყენების სიღრმით СП 31.13330.2012-ს მიხედვით «წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები».
კანალიზაციის ქსელების ქვეშ მილები გაიყვანება შეფუთვებში, ფოლადის ელ. შედუღებული მილებით ГОСТ 10704-91-ის მიხედვით, იზოლაციის ტიპით „ფრიად გაძლიერებული“.

ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსის შენობა, СП 5.13130.2009-ის მოთხოვნების შესაბამისად აღიჭურვება ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარით.

წყალმომარაგების წყაროდ გვევლინება სახანძრო რეზერვუარი, რომელიც მარაგდება შიდა სამოედნო წყალგაყვანილობის ქსელიდან.
სახანძრო რეზერვუარი იმყოფება შენობის გარეთ. სატუმბი სახანძრო სადგურის წყალმომარაგება ხორციელდება ПЭ 100SDR 13.6 Ø315 მილებით, რომლებიც გაყვანილია მიწის ქვეშ.

5. ცნობები სახანძრო საჭიროებებისთვის საჭირო წყლის საანგარიშო ხარჯის შესახებ

გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ხარჯის ნორმები უნდა განისაზღვროს СП 8.13130.2009-ს შესაბამისად „ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროები. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები“.

ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ხარჯად მიღებულია 15 ლიტრი / წამში (არაუმცირეს 2 სახანძრო ჰიდრანტისა).

5.12 СП 8.13130.2009-ის თანახმად წყლის საანგარიშო ხარჯი ხანძრის ჩასაქრობად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვა საჭიროებებისთვის უფრო მეტი ხარჯის შემთხვევაში:

- სამეურნეო-სასმელი წყლის მოხმარება;
- საწარმოთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებები;
- სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოო საჭიროებები, სადაც წყალი საჭიროა სასმელი ხარისხის, ან რომელთათვისაც ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი ცალკეული წყალგაყვანილობის გამართვა;
- სამეურნეო-სასმელი წყლის მოხმარების (საშხაპეების გარდა) და ტექნოლოგიური საჭიროებების ხარჯია 3.13 ლიტრი / წამში.

6. ცნობები ფაქტიურ და მოთხოვნად წნევაზე წყალმომარაგების ქსელში, საპროექტო გადაწყვეტებზე და საინჟინრო აღჭურვილობაზე, რომელიც უზრუნველყოფს წყლის საჭირო წნევას

СП 8.13130.2009-ის თანახმად „ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროები. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.“ მინიმალური თავისუფალი წნევა დაბალი წნევის მქონე ხანძარსაწინააღმდეგო ქსელში (მიწის ზედაპირის დონეზე) ხანძრის ქრობისას უნდა იყოს არაუმცირეს 10 მ-ისა.

გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემაში გამოსაყენებელი წნევა უზრუნველყოფილია საგარანტიო წნევით (არაუმცირეს 20 მ-ისა) პროექტირებად შიდა სამოედნო ქსელში.

8. ცნობები წყლის ხარისხის შესახებ

წყლის ხარისხი შეესაბამება ГОСТ Р 51232-98-ის მოთხოვნებს „სასმელი წყალი“ და СанПиН 2.1.4.1074-01-ის ჰიგიენურ ნორმებს „სასმელი წყალი. სასმელი წყალმომარაგების ცენტრალიზებულ სისტემათა ჰიგიენური მოთხოვნები წყლის ხარისხის მიმართ. ხარისხის კონტროლი“.



ЭКСПЛИКАЦИЯ ЗДАНИЙ, СООРУЖЕНИЙ И ПЛОЩАДОК

НОМЕР	НАИМЕНОВАНИЕ	ПРИМЕЧАНИЕ
1	Административно-производственное здание	
2	Котельная	
2.1	Резервуары запаса топлива	
3	Трансформаторная подстанция	
4	Пожарные резервуары	
5	Контрольно-пропускной пункт	
6	Площадка для отдыха и физкультурных упражнений работающих	
7	Автомобильная стоянка на 28 м/мест (S=288 м^2)	
8	Здание служебно-бытовых помещений	

ТЕХНИКО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПОКАЗАТЕЛИ

	-Административно-производственное здание			
	-Котельная			
	-Трансформаторная подстанция			
	-Насосная пожаротушения			
	-КПП			
	-Здание служебно-бытовых помещений			

Условные обозначения

- B1 — Проектируемый объединенный хозяйственно-питьевой противопожарный водопровод
- B2 — Проектируемый противопожарный водопровод внутренней системы АПТ
- Проектируемый ж/б колодец
- Проектируемый ж/б колодец с пожарным гидрантом

Изм.	Кол. уч.	Лист	№ док.	Подп.	Дата
		Разработал	Волобуев		11.18
		Проверил	Пономарев		11.18
		Рук.группы	Пономарев		11.18
001	Новый документ	Н. контр.	Гамаюнов		11.18
Версия		ГИП	Коновалова		11.18

316-П-НПВ

Комплекс по производству рассасывающихся и не рассасывающихся медицинских изделий, располагающийся на участке с кадастровым номером 01.19.18.003.044

Наружный противопожарный водопровод

Стадия	Лист	Листов
Р	1	1

Схема сетей водоснабжения М1:500

UNICA ENGINEERING

Инв.№ подл. | Подп. и дата | Взам. инв.№

4616200
4616150
4616100
4616050

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«უნიკა ინჟინირინგი»

სარეგისტრაციო № 245 15.01.18წ. СРО НП «СОЮЗАТОМПРОЕКТ»

დამკვეთი - შპს «აპტოს»

გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსი, მდებარე ნაკვეთზე საკადასტრო ნომრით: 01.19.18.003.044.

საპროექტო დოკუმენტაცია

«კვამლარიდების სისტემა»

საწარმოო-ადმინისტრაციული კორპუსი

316-П-1-ДУ

განზ.	დოკ. №	ხელმოწერა	თარიღი
001			01.10.18

2018

Взам. инв.

Подп. и дат

Инв.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
«უნიკა ინჟინირინგი»

სარეგისტრაციო № 245 15.01.18წ. СРО НП «СОЮЗАТОМПРОЕКТ»

დამკვეთი - შპს «აპტოს»

გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსი, მდებარე ნაკვეთზე საკადასტრო ნომრით: 01.19.18.003.044.

საპროექტო დოკუმენტაცია

«კვამლარიდების სისტემა»

საწარმოო-ადმინისტრაციული კორპუსი

316-П-1-ДУ

Взам.ин	
Подп.идат	
Инв.	

გენერალური დირექტორი ა. ვ. ბოკანენკო

პროექტის მთავარი ინჟინერი ს. ე. კონოვალოვა

2018

ტომის შინაარსი

აღნიშნვა	დასახელება	შენიშვნა
316-П-1-ДУ-С	ტომის შინაარსი	ფურცელი 1
316-П-1-ДУ-АК	საავტორო კოლექტივის შემადგენლობა	ფურცელი 1
316-П-1-СП	საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა	ფურცელი 1
	ტექსტური ნაწილი	
316-П-1-ДУ.ПЗ	განმარტებითი ბარათი	ფურცლები 1-6
	გრაფიკული ნაწილი	
316-П-1-ДУ	კვამლ არიდების სისტემის პრინციპიალური სქემა	ფურცელი 1
316-П-1-ДУ	პირველი სართულის გეგმა	ფურცელი 2
316-П-1-ДУ	მეორე სართულის გეგმა	ფურცელი 3
316-П-1-ДУ	სახურავის გეგმა	ფურცელი 4
	თანდართული დოკუმენტები	
	კვამლ არიდების სისტემის გაანგარიშება	ფურცლები 1-24
	ტომის ფურცლების საერთო რაოდენობა	38

საავტორო კოლექტივის შემადგენლობა

თანამშრომლის თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
პროექტის მთავარი ინჟინერი	ს. ე. კონოვალოვა		01.10.18
2-ე კატეგორიის ინჟინერ-დამპროექტებელი	დ. ს. გამაიუნოვი		01.10.18

შინაარსი

1. ზოგადი ცნობები;
2. პროექტის საგანი;
3. ტექნიკური გადაწყვეტები:
3.1.ცნობები სამშენებლო რაიონის კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობების და გარე ჰაერის საანგარიშო პარამეტრების შესახებ;
3.2.ცნობები ტექნოლოგიური მოწყობილობის თბომომარაგების წყაროებისა და გაგრილების პარამეტრების შესახებ;
3.3.გაყვანისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების მეთოდების საფუძველი და აღწერა, თბოტრასის მილების დიამეტრებისა და თბოიზოლაციის ჩათვლით საერთო მოხმარების ქსელებთან მიერთების წერტილიდან კაპიტალური მშენებლობის ობიექტებამდე;
3.4.აგრესიული გრუნტებისგან და გრუნტის წყლებისგან მილგაყვანილობათა დამცავი ზომების ჩამონათვალი;
3.5.სათავსოთა ჰაერის გათბობის, ვენტილაციის და კონდიცირების მიღებულ სისტემათა პრინციპული გადაწყვეტების საფუძველი;
3.6.ცნობები გათბობაზე, ვენტილაციაზე, ცხელი წყლით მომარაგებაზე, გაგრილებაზე, საწარმოო და სხვა საჭიროებებზე თბური დატვირთვების შესახებ;
3.7. ცნობები ორთქლზე მოთხოვნილების შესახებ;
3.8. გამათბობელი აღჭურვილობის განლაგების, ჰაერსატარების დასამზადებელ მასალათა მახასიათებლების ოპტიმალურობის დასაბუთება;
3.9. სავენტილაციო სისტემათა ჰაერსატარების ტრასირების რაციონალურობის დასაბუთება;
3.10. ტექნიკური გადაწყვეტების აღწერა, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემების მუშაობის საიმედობას ექსტრემალურ პირობებში;
3.11. ტექნოლოგიური აღჭურვილობის ავტომატიზაციის და დისპეჩერიზაციის სისტემათა აღწერა მოცემულ განყოფილებაში არ განიხილება;
3.12. მავნე ნივთიერებების გამომყოფი ტექნოლოგიური აღჭურვილობის მახასიათებლები მოცემულ განყოფილებაში არ განიხილება;
3.13. გაზებისგან და მტვერისგან გამასუფთავებელი შერჩეული სისტემის დასაბუთება;
3.14. ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ ვენტილაციის სისტემათა მუშაობის ეფექტურობას საავარიო სიტუაციებში;
4. დოკუმენტის ვერსიის ისტორია.

1 ზოგადი ცნობები

პროექტით გათვალისწინებულია კვამლარიდების სისტემების შემუშავება «Aptos»-ის გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსის მშენებლობისთვის. პროექტი შესრულებულია დამკვეთის მიერ დამტკიცებული საპროექტო დავალების საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორია განლაგებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ნაკვეთის საკადასტრო ნომერი 01.19.18.003.044.

დაპროექტების საფუძვლად გვევლინება სანარდო ხელშეკრულება №316_DD_Aptos_medical products от 02.03.2018.

პროექტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესის სწორი წარმართვისათვის, პერსონალისათვის ხარისხიანი, კომფორტული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისათვის, საწარმოო, დამხმარე და საინჟინრო-ტექნიკური სათავსოების განთავსებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. სათავსოების მაღალხარისხიანი შიდა მოპირკეთების უზრუნველყოფა.

პროექტი შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაზე გენ. დირექტორის მიერ დამტკიცებული დავალების თანახმად.

წინამდებარე პროექტი შესრულებულია შემდეგი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად:

1. 2008 წ. 22 ივლისის №123-ФЗ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონი «ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ»;
2. 2009 წ. 30 დეკემბრის № 384-ФЗ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონი «ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შესახებ»;
3. СП 131.13330.2012 «სამშენებლო კლიმატოლოგია». აქტუალიზირებული რედაქცია СНиП 23-01-99;
4. СП 50.13330.2012 „შენობების თბოდაცვა“. აქტუალიზირებული რედაქცია СНиП 23-02-2003;
5. СП 60.13330.2012 „გათბობა, ვენტილაცია, კონდიცირება“. აქტუალიზირებული რედაქცია СНиП 41-01-2003;
6. СП 7.13330.2013 «გათბობა, ვენტილაცია, კონდიცირება“. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები»;
7. СП 73.13330.2016 „შენობების შიდა სანიტარულ-ტექნიკური სისტემები”. აქტუალიზირებული რედაქცია СНиП 3.05.01-85*;
8. СНиП 21-01-97 „შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების წესები“;
9. СП 12.13130.2009 „სათავსოების, შენობების და გარე დანადგარების კატეგორიების განსაზღვრა ფეთქებად-სახანძრო და სახანძრო საშიშროების მიხედვით“;
10. СП 44.13330.2011 „ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო შენობები“. აქტუალიზირებული რედაქცია СНиП 2.09.04-87;
11. 2013 წ. 11 მარტის №96 ბრძანება სამრეწველო უსაფრთხოების სფეროში ფედერალური ნორმების და წესების „სახანძრო, ფეთქებადსაშიში ქიმიური, ნავთობქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების ფეთქებად უსაფრთხოების საერთო წესები“ დამტკიცების შესახებ;
12. СанПиН 2.2.4.548-96 „ჰიგიენური მოთხოვნები საწარმოო სათავსოების მიკროკლიმატზე“;
13. СП 2.2.2.1327-03 „ჰიგიენური მოთხოვნები ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზების, საწარმოო აღჭურვილობის და სამუშაო ინსტრუმენტის მიმართ“;
14. СП 2.2.1.1312-03 „ჰიგიენური მოთხოვნები ხელახლა მშენებარე და რეკონსტრუირებადი საწარმოების დაპროექტების მიმართ“;
15. 15.ГОСТ Р ИСО 14644-1-2002 სუფთა სათავსოები და მათთან დაკავშირებული კონტროლირებადი სივრცეები. ნაწილი 1. ჰაერის სისუფთავის კლასიფიკაცია. ISO 14644-1-99;

16. 16.ГОСТ Р ИСО 14644-4-2002,სუფთა სათავსოები და მათთან დაკავშირებული კონტროლირებადი სივრცეები. ნაწილი 4. დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა.

ასევე სხვა სახელმწიფო და უწყებრივი სტანდარტების, ნორმების და წესების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მშენებლობის, შრომისა და გარემოს დაცვის უსაფრთხოების სფეროებში. ასევე GMP-ს ძირითადი პრინციპების საფუძველზე FDA-სდა EMEA-ს რედაქციაში.

მიღებული შემოკლებები:

CIP – Clean In Place. ადგილზე გაწმენდა.

PW – Purified Water. გაწმენდილი წყალი.

WFI – Water for Injection. საინექციო წყალი.

CS - Clean steam. სუფთა ორთქლი.

SW - Soft Water. დარბილებული წყალი.

PTFE – Polytetrafluoroethylene. პოლიტეტრაფტორეთილენი.

EPDM - Ethylene propylene diene m. ეთილენ-პროპილენური კაუჩუკი.

PVC - Polyvinyl chloride. პოლივინილქლორიდი

ISPE - International Society for Pharmaceutical Engineering. ფარმაცევტული მრეწველობის ინჟინერთა საერთაშორისო საზოგადოება.

2 პროექტის საგანი

პროექტის საგანია გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობების საწარმოო კომპლექსის (მდებარე ნაკვეთზე საკადასტრო ნომრით: 01.19.18.003.044.) მშენებლობისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება.

3 ტექნიკური გადაწყვეტები

3.1 ცნობები სამშენებლო რაიონის კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობების და გარე ჰაერის საანგარიშო პარამეტრების შესახებ

ცნობები სამშენებლო რაიონის კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობების და გარე ჰაერის საანგარიშო პარამეტრების შესახებ წარმოდგენილია საპროექტო დავალების შესაბამისად.

გარე ჰაერის პარამეტრები სისტემების გაანგარიშებისთვის:

წელიწადის დრო	ჰაერის ტემპერატურა, °C	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა $\varphi_{\text{ი}}$, %	ხვედრითი ენთალპია, კჯ/კგ	ქარის სიჩქარე, მ/წმ
თბილი	+27	58	60,02	0,9
გარდამავალი	+10		21,07	
ცივი	-8	57	-5,41	2,9

3.2 ცნობები ტექნოლოგიური მოწყობილობის თბომომარაგების წყაროებისა და გაგრილების პარამეტრების შესახებ

მოცემულ განყოფილებაში არ განიხილება.

3.3 გაყვანისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების მეთოდების საფუძველი და აღწერა, თბოტრასის მილების დიამეტრებისა და თბოიზოლაციის ჩათვლით საერთო მოხმარების ქსელებთან მიერთების წერტილიდან კაპიტალური მშენებლობის ობიექტებამდე

მოცემულ განყოფილებაში არ განიხილება.

3.4 აგრესიული გრუნტებისგან და გრუნტის წყლებისგან მილგაყვანილობათა დამცავი ზომების ჩამონათვალი

მოცემულ განყოფილებაში არ განიხილება.

3.5 სათავსოთა ჰაერის გათბობის, ვენტილაციის და კონდიცირების მიღებულ სისტემათა პრინციპული გადაწყვეტების საფუძველი

შენობის სათავსოთა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პროექტის განყოფილებით ДУ, п.п. 7.2, 7.3 СП 7.13130.2013-ს შესაბამისად გათვალისწინებულია კვამლარიდების 4 სისტემა: ДУ1 ემსახურება 103, 202 დერეფნებთან არსებულ სათავსოებს; ДУ2 ემსახურება 144 დერეფანთან არსებულ სათავსოებს; ДУ3 ემსახურება 164 დერეფანთან არსებულ სათავსოებს; ДУ4 ემსახურება 237 დერეფანთან არსებულ სათავსოებს.

101 სათავსოდან (ატრიუმი) კვამლარიდებისათვის გათვალისწინებულია სისტემები ДЕ1 და ПДЕ1 ფრამუგების ავტომატური გაღების ფუნქციით შენობის ზედა და ქვედა ნაწილებში კომპენსაციით ქვედა ზონიდან. ასევე პროექტით გაათვალისწინებულია ორი სისტემა ПД1, ПД2 ჰაერის მექანიკური დაწნევით და ერთი სისტემა ПДЕ2 ჰაერის ბუნებრივი ნაკადით.

კვამლარიდების სისტემებში გათვალისწინებულია მექანიკური ნაკადი ჰაერგამტარების ცალკეული სისტემებით. კვამლის გაზების ასარიდებლად გამოიყენება კომპანია «КВМ»-ის წარმოების ВЕНК-ის მარკის სახურავის რადიალური ვენტილატორები კვამლის ჩირაღდნული გატყორცნით.

დერეფნის სიგრძე, რომელსაც ემსახურება ერთი სარქველი, არ აღემატება:

- 45 მ. დერეფნის სწორხაზოვანი კონფიგურაციის შემთხვევაში;
- 30 მ. დერეფნის კუთხოვანი კონფიგურაციის შემთხვევაში.

